



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011725269496320

მისამართი: თბილისი 0114 სანაპიროს ქ. #2; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

293634

31 / აგვისტო / 2020 წ.

გადანყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 311427/17; **თარიღი:** 25.08.2020 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი: თამარ სიხარულიძის (პირადი ნომერი 01008010466) წარმომადგენელი გიორგი გელაძე (პირადი ნომერი 12401106940).

გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გამომცემი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურების დასახელება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის კახეთის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „კახეთის რეგიონული ოფისი“).

გასაჩივრებული გადაწყვეტილებები: სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ № 882020365634-07 (02.08.2020) და №882020365656-07 (02.08.2020) გადაწყვეტილებები.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მოთხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გაუქმება და მოთხოვნილი უფლების რეგისტრაცია.

უძრავი ნივთების მისამართი: სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი ტიბაანი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტით დაინტერესებული მხარე განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება;

ამავე კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, ხოლო მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში;

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

№ 311427/17 ადმინისტრაციული საჩივრის შემონგების შედეგად დადგინდა, რომ ის პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს აღნიშნული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

საჯარო რეესტრმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლების შესაბამისად,

გადანყვითა:

1. მიღებულ იქნეს წარმობაში თამარ სიხარულიძის (პირადი ნომერი 01008010466) წარმომადგენლის გიორგი გელაძის (პირადი ნომერი 12401106940) 2020 წლის 25 აგვისტოს № 311427/17 ადმინისტრაციული საჩივარი.

2. წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში დაინტერესებულ პირად ჩართულ იქნეს თამაზ ნასყიდაშვილი (პირადი ნომერი 40001007240).

3. ადმინისტრაციული საჩივრისა და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოს თამაზ ნასყიდაშვილს (პირადი ნომერი 40001007240) და კახეთის რეგიონულ ოფისს.

4. დაინტერესებულ მხარეს განემართოს, რომ წარმობაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვს, გადანყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული ვადაში წარმოადგინოს წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადოს აცილება და ისარგებლოს დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მიმდინარე კანონმდებლობით.


5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე საჯარო რეესტრში (მისამართი: ქ. თბილისი, თბილისის იუსტიციის სახლი, სანაპიროს ქ. №2) და სიღნაღის მუნიციპალიტეტის ნუკრიანის საზოგადოებრივ ცენტრში და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.

6. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge.

7. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად 

ვახტანგ ბოხაშვილი